



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

ეფექტიანი საკანონმდებლო ადვოკატირების სახელმძღვანელო



სახელმძღვანელო მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ (Article 42 of the Constitution) მიერ პროექტის — „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა სამუშაო ადგილებზე“ ფარგლებში.

კვლევა ჩატარდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით, „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) დაფინანსებით. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხის აგებს „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ (Article 42 of the Constitution). ის შეიძლება არ გამოხატავდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

რა არის ადვოკატირება?

ადვოკატირება არის გამოწვევის ან წინადადების დაცვა, შუამდგომლობა ან მხარდაჭერა.¹ რაც შეეხება საკანონმდებლო ადვოკატირებას, ის მოიცავს საკანონმდებლო ორგანოებთან მუშაობას გამოწვევის ან ინიციატივისათვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რომელიც ეხება კონკრეტული მოსახლეობის, ორგანიზაციის ან ორგანიზაციათა ჯგუფების საჭიროებებს ან კონკრეტულ მომსახურებებს.



გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანახმად: „საკანონმდებლო ადვოკატირება არის კანონმდებლობის მისაღები ან უკვე მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანი კონკრეტული ქმედებები. აღნიშნული ქმედებები ხშირად მოიხსენიება როგორც „ლობირება“. ლობირება აუცილებლად გულისხმობს ძლიერი

¹ მერიამ ვებსტერის ლექსიკონი, ხელმისაწვდომია: <http://www.merriam-webster.com/dictionary/advocacy>



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



საკანონმდებლო წინადადების ან კანონის არსებობას, რომელიც მოიცავს ხელისუფლების საკანონმდებლო შტოსათვის წარსადგენ საუკეთესო პრაქტიკას.“²

ადვოკატირების შესაბამისი ძალისხმევა მნიშვნელოვანი ფაქტორია საჯარო პოლიტიკის ფორმირების მხარდასაჭერად. წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ თანმიმდევრულად, ადვოკატირების მიზნისადმი მუდმივი და გრძელვადიანი ხელშეწყობით. აღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს საპარლამენტო ადვოკატირების სტრატეგიებს, მათ შორის ახალი კანონების ან საკანონმდებლო ცვლილებების დაგეგმვას, მომზადებას, წარდგენას, განხილვისას წარმოდგენასა და ადვოკატირებას.

ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვა/ მომზადება

რატომ უნდა შევხვდეთ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს?

ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვისას, თქვენ გჭირდებათ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით, კანონპროექტის ავტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ კონკრეტულ თემატიკაზე, სახალხო დამცველის ოფისი, საკანონმდებლო ინიციატივის ბენეფიციარები, სამიზნე ჯგუფები, მთავრობის წარ-

² გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა უფლებები და საკანონმდებლო ადვოკატირება, ხელმისაწვდომია: <http://www.endvawnow.org/en/articles/846-womens-human-rights-and-legislative-advocacy.html?next=847>

მომადგენლები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები და სფეროს ექსპერტები. თუმცა, თანამშრომლობა მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი, თუ ის მოიცავს ისეთ მონაწილეებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი საკითხებში სათანადო გამოცდილება. დამატებით დახმარებას ზიანი არავისთვის მოუტანია.



მოამზადეთ სრულფასოვანი საკანონმდებლო წინადადება

გაითვალისწინეთ, რომ თქვენი საკანონმდებლო წინადადება თქვენს ხელშია, შესაბამისად, მოამზადეთ კარგი. თუ თქვენ გსურთ, რომ თქვენი საკანონმდებლო რეკომენდაციები მიიღონ, საკითხის ყველა ასპექტში უნდა გქონდეთ ბრწყინვალე გამოცდილება. არ დაგავიწყდეთ საიმედო მტკიცებულებების, განახლებული მონაცემების, სახელმწიფოთა პრაქტიკის, შესაბამისი პრეცედენტული სამართლის, საერთაშორისო და რეგიონალური ხელშეკრულებების, კონვენციებისა და შეთანხმებების და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების გამ-

ოყენება. გახსოვდეთ, რომ სახელმწიფოს უკვე აქვს აღებული არაერთი საერთაშორისო ვალდებულება და უზრუნველყავით საკანონმდებლო წინადადებაში აღნიშნულის ადეკვატურად ასახვა. ხაზი გაუსვით იმ ფაქტს, რომ თქვენი შეთავაზება სარგებელის მომტანია სახელმწიფოსთვისაც, ვინაიდან ხელს შეუწყობს უკვე აღებული ვალდებულებების შესრულებას.



იმისათვის, რომ გქონდეთ ბრწყინვალე საკანონმდებლო პაკეტი, ის უნდა იყოს კარგად სტრუქტურირებული, ლაკონური და მოიცავდეს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას. რაც უფრო ნაკლებ რეკომენდაციას მოამზადებთ, საპარლამენტო მოსმენებისას მათი წარმოდგენის უფრო მეტი შესაძლებლობა გექნებათ. გირჩევთ, რომ წარადგინოთ შეთავაზებული ცვლილების ან ახალი ნორმის ზუსტი ფორმულირება. კარგი საკანონმდებლო წინადადება წარმატებული ადვოკატირების კამპანიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



კოალიციის შექმნა ყოველთვის კარგი აზრია

საკითხის წინ წამოწევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება არის გყავდეს ბევრი მხარდამჭერი. თუ თქვენ ვინმესთან ერთად იზიარებთ საერთო მიზანს, შეიკრიბეთ, გაზარდეთ ალიანსი, გააკეთეთ კოალიცია — ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს დასახული მიზნის მიღწევას. დააკონკრეტეთ და შეთანხმდით კოორდინაციისა და თანამშრომლობის ფარგლებზე და შეავსეთ ერთმანეთი გამოცდილებითა და ცოდნით. ორი თავი ერთზე უკეთესია. ორგანიზებული ძალისხმევა მოგცემთ უკეთეს შანსს, რათა დაარწმუნოთ და ზეწოლა მოახდინოთ შესაბამის თანამდებობის პირებზე.

წარუდგინეთ თქვენი საკანონმდებლო პაკეტი დაინტერესებულ მხარეებს

მას შემდეგ, რაც მოამზადებთ საკანონმდებლო პაკეტს, გააკეთეთ მისი პრეზენტაცია, მოახდინეთ შთაბეჭდილება საზოგადოებაზე, დაარწმუნეთ ყველა, თუ რამდენად საჭიროა აღნიშნული ცვლილებების განხორციელება. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მოამზადეთ თქვენი არგუმენტაციის სხვადასხვანაირი ვიზუალიზაცია (მაგალითად ინფო-გრაფიკები, ფლაერები, ადვოკატირების ვიდეოები...). პრეზენტაცია და მიღებული უკუკავშირი დაგეხმარებათ იმ ხარვეზების აღმოჩენაში, რომელიც მანამდე არ გქონდათ შემჩნეული და შესაბამისად, ხელს შეგიწყობთ, რომ თქვენი საკანონმდებლო წინადადება პარლამენტში წარდგენამდე გახადოთ იდეალური.

ადვოკატირების კამპანიის განხორციელება

კარგად მოემზადეთ საპარლამენტო მოსმენებისათვის

თქვენ შესაძლოა გქონდეთ ყოვლისმომცველი საკანონმდებლო პაკეტი, თუმცა, მისი სამომავლო წარმატება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარადგენთ თქვენს რეკომენდაციებს საპარლამენტო მოსმენებისას. პრეზენტაციის კარგი უნარების გარდა გაითვალისწინეთ, რომ მხედველობაში მიიღოთ კონკრეტული კომიტეტის ინდივიდუალური პარლამენტარების თავისებურებები (მოსმენების წინ გაიგეთ ვინ არიან კომიტეტის წევრები და გამოიკვლიეთ მათი დამოკიდებულება განსახილველ საკითხთან).



ყურადღება მიაქციეთ თქვენს საუბარს და გონივრულად აარჩიეთ სიტყვები. აგრესიული დამოკიდებულება ყოველთვის არ არის შედეგის მომტანი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოსთან ურთიერთობისას, თუმცა, დიპლომატია ყოველთვის

შესაძლებელია იყოს გადამწყვეტი მხარდამჭერების მოსაპოვებლად. გახსოვდეთ, რომ საკანონმდებლო წინადადების წარდგენისას საუკეთესო შედეგი მიიღწევა მაშინ, როდესაც ამცირებთ უარყოფით ემოციებს და ზრდით კომუნიკაციას.



პირადად შეხვედრით შესაბამის პარლამენტარებს

პირადი შეხვედრა თქვენს კანონმდებელთან წარმოადგენს თქვენი იდეის აუდიტორიისათვის მიწვდენის ყველაზე ეფექტიან გზას. კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად, საჭიროა პარლამენტარებთან თანამშრომლობა. ფრთხილად გააკეთეთ არჩევანი, გამოავლინეთ თქვენი გამოწვევის შესაძლო მხარდამჭერები. მას შემდეგ, რაც მოახდენთ პარლამენტის წევრების იდენტიფიცირებას, დაგეგმეთ შეხვედრები. დაუკავშირდით მათ ყველა შესაძლო გზით — გამოიყენეთ ოფიციალური წერილუბი, იმეილები, შეხვედრები, სატელეფონო ზარები ან საერთო კონტაქტები.



შეხვედრამდე გაუგზავნეთ პარლამენტარებს მასალები, რათა მიეცეთ საშუალება გაეცნონ თქვენს საკანონმდებლო პაკეტს. შეხვედრებისას, გადაეცით ერთ გვერდიანი ინფორმაცია თქვენს რეკომენდაციებზე, ინფო-გრაფიკები და სხვა მოკლე ვიზუალიზაციები, რაც მომზადებული გაქვთ. აგრეთვე, გაითვალისწინეთ ე.წ. „ათი მცნება“:

“1. ისაუბრეთ მოკლედ; 2. პატივი ეცით მოსაუბრეს; 3. ახსენეთ თქვენი კავშირი საკითხთან; 4. მოახსენეთ თქვენი წეხილი; 5. მოითხოვეთ კონკრეტული ქმედება; 6. მოახსენეთ თქვენი მიზეზები; 7. მოახსენეთ თქვენი გამოცდილება; 8. ითხოვეთ მხარდაჭერაზე ვალდებულების აღება; 9. გამოხატეთ მადლიერება; 10. წახალისეთ თქვენი მეგობრები, რომ დაიცვან ეს წესები.”



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



არ დაგავინყდეთ მედიის ძალა

საკანონმდებლო ადვოკატირების პროცესში თქვენ გჭირდებათ გადაწყვეტილების მიმღებთა ყურადღება და თქვენი კამპანიის თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. თუ პოლიტიკის განმსაზღვრელებზე განხორციელდება საერთაშორისო და ადგილობრივი გეზოლა, ისინი შეიტანენ საჭირო ცვლილებებს კანონში და აღასრულებენ არსებულ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.

გარდა ამისა, სათანადოდ შეაფასეთ ალტერნატიული მედია საშუალებების ძალა, რამაც აგრეთვე შეიძლება შეიტანოს წვლილი საჯარო აზრის ჩამოყალიბებაში და ხელი შეუწყოს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების დროულ განხორციელებას. ნუ შეზღუდავთ თქვენს კრეატიულობას და იყავით ინოვაციურები.

გქონდეთ კარგი ურთიერთობა შესაბამის სამინისტროებთან

ბოგიერთი საკანონმდებლო პაკეტი პირდაპირ არის დაკავშირებული კონკრეტული სამინისტროების საქმიანობასთან. შესაბამისად, პასუხისმგებელ უწყებასთან მჭიდრო თანამშრომლობა არის დამატებითი ღირებულების მქონე ადვოკატირების კამპანიისათვის. გარდა ამისა, პარლამენტი, როგორც წესი, დაინტერესებულია შესაბამისი სამინისტროს უკუკავშირით, რაც შეიძლება იყოს გადამწყვეტი კანონის დროული მიღებისათვის.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



არ დაკმაყოფილდეთ მიღწეულით

მას შემდეგ, რაც მიაღწევთ თქვენს მიზანს და თქვენი რეკომენდაციები მიღებული იქნება, გამოხატეთ მადლიერება მხარდამჭერებისა და მათ მიმართ, ვინც სცადა თქვენი დახმარება. აწარმოეთ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მონიტორინგი და დაგეგმეთ ადვოკატირების შემდგომი კამპანია. არ დაგავიწყდეთ თქვენი გამოცდილების გაზიარება.



Be on good terms with the relevant ministries

Certain legislative packages are directly related to the work of the particular Ministries. Hence, the close cooperation with the responsible institution can serve as an added value of your advocacy campaign. Moreover, the Parliament usually is interested in the feedback of the relevant Ministry, which might even be crucial for the timely adoption of the law.

Don't be Content with the Achieved

Once you have achieved your goal and your recommendations are adopted, show your gratitude to everyone who has supported you or tried to be helpful. Monitor the implementation of the legislative changes and plan the future advocacy campaigns. Do not forget to share your own experience.

In the process of legislative advocacy, you need to gain attention of the decision-makers and raise the public awareness of your campaign. If international and local pressure is placed on policy makers, then policy-makers will adopt necessary reforms to the law and enforce existing legal protections.

In addition, do not underestimate the power of the alternative media sources that can also serve the purpose of formulating the public opinion and contributing to the timely adoption of the necessary legislative changes you are trying to make. Do not limit your creativity and be innovative.

Don't forget the power of the media

"1. Keep it short; 2. Be respectful; 3. Mention your connection to the issue; 4. State your concern; 5. Request a specific action; 6. Give your reasons; 7. Cite your expertise; 8. Ask for a commitment of support; 9. Express your appreciation; 10. Encourage your colleagues to follow these "rules."

the topic, make the appointments. Approach them with any possible means at hand – through the official letters, emails, during the events, phone calls or the mutual contacts.

Before the meetings, send the MPs the materials, so that they have the possibility to get acquainted with the legislative package. During the meetings, provide them with the "one-pager" of your recommendations, info-graphics and any other short visualisations you have. The last but not the least, keep in mind the so called "Ten Commandments":



Be careful with your choices, map out the best possible supporters of your cause. Once you have identified the MPs who have a positive attitude towards



Meeting with your legislators face-to-face is the most effective way to get your message across the audience. In order to improve the legislation you need to engage with the parliamentarians.

Have face-to-face meetings with the relevant MPs





FROM THE AMERICAN PEOPLE
USAID



Implementing the Advocacy Campaign

Be well-prepared for the Parliamentary Hearings

You might have a comprehensive legislative package, however, how it is present during the Parliamentary hearings is what actually matters in the further success of the bill. Besides the good presentation skills, be advised to take into consideration the character of the individual MPs of a certain committee (always check the members of the committees before the hearings and research their attitude, if any, on the topic at hand).



Be careful with your language, choose the words wisely. Aggressively pushing attitude does not always work before the legislative body of the Government, however, diplomacy can always be the key in gaining supporters. Remember, that the best results come when you reduce negative emotion and increase communication while presenting the legislative packages.

Once you have drafted the recommended legislative package, present it, impress the public, make everyone sure how needed those changes are. In the framework of the informational campaign, prepare the variations of visualisations of your argumentation (e.g. info-graphics, flyers, advocacy videos...). The presentation and the feedback received will help you in finding the flaws and shortcomings you might not have noticed before and thus, will contribute to perfecting your draft bill before it is submitted to the Parliament.

Present your legislative package to the stakeholders

One of the most effective means of promoting an issue is to have many messengers and advocates. If you have a common goal with someone else, gather, increase the alliance, make a coalition - it will only contribute to the achievement of the aimed objective. Specify and agree the scope of coordination and collaboration and complement each other with experience and expertise. Two heads are better than one. Organized efforts will have more chance to persuade and pressure the relevant authorities

Coalition is always a good idea



To draft an outstanding legislative package, make it well-structured and laconic, include only the most significant information. The less recommendations you submit at a time, the more possibility you have to present them during the hearings. It is strongly recommended to have a precise wording of the suggested amendment or a new norm. A good draft bill is a half-way to the successful advocacy campaign.



Bear in mind, you are the master of your draft bill, so make it good. If you want your legislative recommendations to be adopted, you should have a brilliant expertise on all aspects of the topic. Do not forget to include the reliable evidence, up-to-date data, state practice, the relevant case law, international and regional treaties, conventions and agreements and other human rights instruments. Remember that the State already has a number of international obligations undertaken, make sure that they are adequately reflected in the legislative package. Underline that what you suggest, is also beneficiary for the State, since it will facilitate the fulfilment of the already undertaken responsibilities.

Prepare a comprehensive legislative package





While planning the certain legislative advocacy campaign, you need access to the important information. To this end, it is vital for the drafters to consult with the relevant stakeholders such as the NGO's working on a particular topic, the Public Defender's Office, beneficiaries of the proposed bill, target groups, representatives from the government, international and donor agencies and experts of the field. However, cooperation is only as effective as it involves the participants who have sufficient experience in the related issues. A little extra help has never harmed nobody.

Planning / Preparing for the Advocacy Campaign

Why should we meet with the relevant stakeholders?

The relevant advocacy efforts are an important factor in helping to form the public policy. Success can only be achieved step-by-step through a persistent and long-term commitment to the advocacy objective. The purpose of this guide is to present the parliamentary advocacy strategies including the planning, drafting, submitting, presenting and advocating the new laws or the legislative amendments.





USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



What is Advocacy?

Advocacy is the action of advocating, pleading for, or supporting a cause or proposal¹. As for the legislative advocacy, it encompasses working with the legislative bodies to gain support for a specific cause or initiative, for the needs of a specific population, for an organization or group of organizations, or for specific services.



According to the UN Women: "Legislative advocacy is the specific activity of working for the creation and adoptions of rights-specific legislation, or changes to existing legislation. This activity is also frequently known as "lobbying." Lobbying necessarily involves having a strong draft bill or law that incorporates the best practices to present to the legislative branch of your government."²

¹ Merriam Webster Dictionary, available at: <http://www.merriam-webster.com/dictionary/advocacy>

² UN Women, Women's Human Rights and Legislative Advocacy, available at: <http://www.endavawomen.org/en/articles/846-womens-human-rights-and-legislative-advocacy.html?next=847>

The presented guidelines were created by the non-governmental organization "Article 42 of the Constitution" in the framework of the project: "Promotion of Gender Equality in Employment."

This paper was prepared with the generous support of the American people and funding of the U.S. Agency for International Development (USAID). "Article 42 of the Constitution" bears full responsibility for the contents of the guidelines. It may not express the opinions of the USAID or the Government of the United States.

Tbilisi, 2016



GUIDELINES FOR THE EFFECTIVE LEGISLATIVE ADVOCACY

FROM THE AMERICAN PEOPLE

USAID

